

საზოგადოებასთან
ურთიერთობის სამსახურის
დებულება



SPORTUNI



თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

1.1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს **სსიპ- საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის** (შემდგომში - უნივერსიტეტი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის (შემდგომში - სამსახური) სამართლებრივ სტატუსს, ამოცანებსა და ფუნქციებს, სტრუქტურას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2.

2.1. 2.1. სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“, უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით, წინამდებარე დებულებითა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

2.2. სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე და ასრულებს მის მითითებებსა და დავალებებს.

თავი II

სამსახურის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

მუხლი 3.

3.1. სამსახურის ამოცანები:

სამსახურია ძირითადი ამოცანაა უზრუნველყოფს უნივერსიტეტში განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის დამუშავება და გავრცელება შიდა და გარე დაინტერესებული პირებისათვის, უნივერსიტეტის საიმპიჯო და PR მიმართულებების დაგეგმვა და განხორციელება, სტუდენტების ინიციატივების განხილვა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

3.2. სამსახურის ფუნქციები

ა) საკომუნიკაციო საშუალებების, ვებ-გვერდის, სოციალური ქსელებისა და ბეჭდვითი მედიის გამოყენების გზით მიზნობრივი ჯგუფებისთვის უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;



- ბ)სამსახურის სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- გ)სარეკლამო კონცეფციების, ბუკლეტების, ბროშურების და სხვა მასალის შემუშავება, სარეკლამო კომპანიებთან თანამშრომლობა და შემოქმედებითი სამუშაოს კოორდინირება;
- დ) სტუდენტური გაერთიანებების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების მხარდაჭერა;
- ე) სტუდენტთა სხვადასხვა პროექტში ჩართვის მიზნით საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის დამყარება;
- ვ) უნივერსიტეტის ურთიერთობის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან;
- ზ) უნივერსიტეტის ბრენდის მართვა და იმიჯის ამაღლების უზრუნველყოფა;
- თ) დაინტერესებული აბიტურიენტებისთვის საკონსულტაციო ღონისძიებების ორგანიზება;
- ი) სხვადასხვა საგანმანათლებლო გამოფენებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის ორგანიზება;
- კ) უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მართვის უზრუნველყოფა;

თავი III

სამსახურის სტრუქტურა, ხელმძღვანელობა და თანამშრომლები

მუხლი 4

- 4.1.სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია მის წინაშე.
- 2.სამსახურის უფროსის არყოფნის ან/და ამ პოზიციაზე ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი რექტორთან შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებას სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის შესახებ.
- 3.სამსახურის შემადგენლობაში შედიან სპეციალისტები, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. ისინი ანგარიშვალდებულნი არიან სამსახურის უფროსის წინაშე. მათი ფუნქციები დაკონკრეტებულია მათთან გაფორმებული შრომითი კონტრაქტითა და სამუშაო აღწერილობით.

მუხლი 5

5.1. სამსახურის უფროსი:

- ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას;



ბ) ანაწილებს მოვალეობებს სამსახურის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ შესაბამის დავალებებსა და მითითებებს;

გ) წარუდგენს შესრულებული სამუშაოს ანგარიშს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წელიწადში ორჯერ და/ან მოთხოვნისამებრ;

დ) ისმენს შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშს დაქვემდებარებული თანამშრომლებისგან წელიწადში ორჯერ;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვიზირებით ადასტურებს სამსახურში, მომზადებული დოკუმენტების;

თავი I V

დასკვნითი დებულებები

მუხლი 6.

6.1. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.3. დებულება ძალაშია საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.

6.4. დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების ან/და სამსახურის ლიკვიდაციის შემთხვევაში.